# დღეს საბჭოთა ხალხი ზეიმობს დიდ სამამულო ომში ძლევამოსილი გამარჯვების 21-ე წლისთავს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 88 (3065)

9 1966 წ. მაისი. ორშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## 6 ჩემპიონი!

კ ა რ ლ ს რ უ ე, 8 მაისი. დიდ ინტერესს იწვევს ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც დასავლეთ გერმანიის ამ საკურორტო ქალაქის ვეებერთელა სპორტდარბაზში — „შვარცვალდ-ჰალეში" ტარდება.

სხვათა შორის, სწორედ ამ „შავი ტყის დარბაზში" მიიღო ოქროს მეორე მედალი სახელგანთქმულმა ქართველმა ფალავანმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა გ. კარტოზიამ. ჩვენს ათლეტებს კარგად რომ აქვთ დაცდილი კარლსრუე, ეს ევროპის ჩემპიონატის პირველი შედეგებიდანაც ჩანს. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას, ბაქოელი ს. სამედოვის (უმძიმესი წონა) გარდა, ჩვენი გუნდის ყველა წევრი განაგრძობს.

სტარტზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ზ. ბერიაშვილმა (მსუბუქი წონა). მან ქულებით, მაგრამ დამაჯერებლად, მოუგო ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, თავის ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს როსტს (გფრ). ძლიერი მეტოქე ჩამოიცილა საქართველოს მეორე წარმომადგენელმა ა. ცხოვრებოვმაც. შვეციელი ასონი მასთან დამარცხების შემდეგ ფაქტიურად გამოეთიშა პირველობისთვის ბრძოლას საშუალო წონაში.

პირველი გამარჯვება უშრომლად ხვდა ი. შახმურადოვს (ქვესაშუალო წონა): მას მეტოქე არ გამოუცხადდა.

წუხელ კარლსრუედან სასიხარულო ცნობა მოვიდა: ევროპის ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა ათლეტები ა. იბრაჰიმოვი, ზ. ბერიაშვილი, ი. თედეევი, ი. შახმურადოვი, შ. ლომიძე და ა. მედვედი.

## ესაა სამართალი?!

ლ უ ქ ს ე მ ბ უ რ გ ი, 8 მაისი. ევროპის ძიუდოისტთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში გუნდური ბრძოლის ფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს ფრანგებს — 4:1. მოსკოველმა ო. სტეპანოვმა დაამარცხა ა. დესმე, სარატოველმა გ. პოკატაევმა — პ. კლემანი, ხოლო გორელმა ა. ქიბროწაშვილმა — ჟ. გრესი.

პირად ჩემპიონატში მოსკოველი ს. სუსლინი (მსუბუქი წონა) ოქროს მედალს დაეპატრონა. მძიმე წონაში ფ. ჩიკვილაძეს (თბილისი) შეეძლო „ოქროს" მოხვეჭა, მაგრამ...

მისი შეხვედრა გამოცდილ ჰოლანდიელ ვ. რიუსკასთან უაღრესად დაძაბული იყო. თბილისელმა მეტოქეს ილეთი ჩაუტარა — ერთადერთი ამ ორთაბრძოლაში. ორმეტრიანმა ჰოლანდიელმა ერთი კი ამოიგმინა და ხალიჩაზე მოადინა ბრაგვანი. მასთან მიირბინა საბჭოთა გუნდის ექიმმა, მაგრამ... რამდენიმე წუთის შემდეგ რიუსკა წამოდგა და, ვითომც აქ არაფერიაო, შეხვედრა განაგრძო. ჩიკვილაძეს... ილეთი არ ჩაუთვალეს: მსაჯთა უმრავლესობამ გამარჯვება 25 წლის ამსტერდამელს მიაკუთვნა. ჩიკვილაძე „ვერცხლს" დაჯერდა.

დღეს გვიან ღამით „გავიცნობთ" ჩემპიონებს დანარჩენ ოთხ წონით კატეგორიაში.

## სპორტული საათი...

◆ პ ე ნ ი ა რ ო ლ ი, 8 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო ურუგვაის ჩემპიონს „ოლიმპიას" — 88:63.

◆ რ ო მ ი, 8 მაისი. იტალიის ღია ჩემპიონატში მარცხი განიცადა თ. ლეიუს—ს. ლიხაჩოვის წყვილმა. მეოთხედფინალში საბჭოთა ჩოგბურთელებმა წააგეს ამერიკულ დუეტთან — დ. რალსტონთან და ქ. გრებნერთან — 6:4, 3:6, 4:6, 4:6.

◆ მ ო ს კ ო ვ ი, 8 მაისი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა დღეს აქ საწვრთნელ მატჩში გაჭირვებით დაამარცხა ცსკა — 4:3. ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი (სერებრიანიკოვი), დანილოვი, საბო, ვორონინი, მეტრეველი (კოპაევი), ბანიშევსკი, მალაფეევი, ჩისლენკო.

◆ ს ა ნ - ხ ო ს ე (კალიფორნია), 8 მაისი. თვალსაჩინო შესწორება შეიტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში ამერიკელმა სპრინტერმა ტ. სმითმა: 200 მეტრი მან აქ გაირბინა 19.5 წამში, რაც ნახევარი წამით უკეთესია წინანდელ მსოფლიო რეკორდზე. იმავე გარბენში სმითმა საუკეთესო დრო აჩვენა მძლეოსნობის ისტორიაში 220 იარდზეც — 19.5.

◆ პ რ ა ღ ა, 8 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის დაწყებამდე გუშინ აქ სტარტი მიეცა მსოფლიოს ახალგაზრდობის VII ტრადიციულ ველორბოლას. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საფრანგეთის, ირლანდიის, იუგოსლავიის, გდრ-ის, პოლონეთის, გფრ-ის, ავსტრიის, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდა ველოსიპედისტები. I ეტაპი მოიგო ი. სტრენგერმა (გდრ).

◆ ვ ა რ შ ა ვ ა, 8 მაისი. პოლონეთის დედაქალაქის გარეუბანში გაიმართა „მეტალურგის დღისადმი" მიძღვნილი ველორბოლა, რომელშიც გამოვიდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სპორტსმენები. 80-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარეს პრალეებმა მ. პუზრლუსმა და კ. კუდრნამ — 1:52.11,0. 3 წამის შემდეგ ფინიშის ხაზი მრბოლელთა დიდმა ჯგუფმა გადაკვეთა.

## 12 მაისს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება

**საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია.**

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს ანგარიში.

მომხსენებელი — საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

2. საქართველოს სპორტკავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მომხსენებელი — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მ. კლდიაშვილი.

3. არჩევნები: ა) საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსი; ბ) სარევიზიო კომისიისა.

დასაწყისი 10 საათზე.

**საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმი.**

# მთავრობის მაღალ ჯილდოს გილოცავთ!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებიც:

### ლენინის ორდენით

**ნ. ტ. გაფრინდაშვილი** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

### შრომის წითელი დროშის ორდენით

**შ. ნ. ახვლედიანი** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის განყოფილების გამგე.

**მ. ა. ერისთავი** — ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი.

**მ. ი. თიკანაძე** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

**ბ. ვ. რცხილაძე** — თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე.

**ზ. ვ. სიხარულიძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე.

### „საპატიო ნიშნის" ორდენით

**რ. ო. აბაშიძე** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ვ. მ. ბალავაძე** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**გ. ა. კარტოზია** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**მ. შ. მესხი** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ს. კ. მეტრეველი** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ვ. ო. ჟღენტი** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

**ვ. ა. სამსონაძე** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი.

**ლ. გ. ხაზაძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

**ბ. რ. ხალარაძე** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ო. ლ. ფხაკაძე** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**მ. ზ. ხერგიანი** — საქართველოს ალპური კლუბის ინსტრუქტორი.

**ნ. კ. ჯორჯიკია** — თბილისის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

### მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

**ნ. პ. ასათიანი** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ზ. ი. ბერიაშვილი** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ი. ი. ბოჭორიძე** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

**გ. ი. გაჩეჩილაძე** — თბილისის საჭადრაკო კლუბის მთავარი მწვრთნელი.

**ი. ე. ერმოლოვა-რიაზანოვა** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**შ. დ. იამანიძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**რ. ვ. იმნაძე** — თბილისის სპორტის სასახლის დირექტორი.

**ა. ლ. კიკნაძე** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ბ. გ. კოსტავა** — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ა. პ. კოტრიკაძე** — თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.

**ვ. მ. კუხიანიძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მთავარი მწვრთნელი.

**თ. ფ. მანაგაძე** — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

**გ. ნ. მერკვილაძე** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდკაბინეტის გამგე.

**ა. ი. მეტრეველი** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**შ. გ. მუავანაძე** — აჭარის ასსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე.

**რ. ვ. რურუა** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ა. პ. საფრონოვი** — თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი.

**ა. ნ. ლოლობერიძე** — თბილისის „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.

**ჯ. დ. ცერცვაძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ლ. ვ. ძეკონსკი** — ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ქ. ვ. წაქაძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ქ. მ. ზორავა** — ზუგდიდის რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე.

**ს. კ. ხურიძე** — დუშეთის რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე.

### მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

**ც. ო. აბუაშვილი** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ლ. ი. გოგოლაძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ქ. პ. გოგოტაძე** — მახარაძის რაიონის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" თავმჯდომარე.

**ლ. ი. გრუზდევა-უურული** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ნ. გ. ემუხვარი** — სოხუმის ბავშვთა № 1 სპორტსკოლის მწვრთნელი.

**ვ. ვ. კანდელაკი** — საქართველოს სსრ ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

**ი. ს. მინდაძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ლ. ა. ქველიძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ი. დ. ჩხიკვაძე** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ა. ნ. ცხოვრებოვი** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ა. ნ. ჯანუყაშვილი** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ა. ვ. ჯეჯელავა** — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

**ა. ი. ჯორჯაძე** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

# გმირთა სადიდებლად

ფშაველებს და თუშებს ძველად ასეთი წესი ჰქონიათ: სოფელში კარგი ვაჟკაცი რომ მოკვდებოდა, წლისთავზე მისი სახელის პატივსაცემად შეჯიბრებას გამართავდნენ სროლაში თუ ყაბახში, მშვილდოსნობაში, დოღში... მიცვალებულის პატრონი ჯილდოს აწესებდა — დოღში გამარჯვებულისთვის გარდაცვლილის საუკეთესო ცხენს, სროლაში გამარჯვებულისთვის — იარაღს, მშვილდოსნობაში გამარჯვებულისთვის — ცხვარს ან სხვა რაიმეს. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ყველას ჰქონია. მსაჯობას ხალხი სოფელში პატივცემულ, ცნობილ თავკაცებს ავალებდა თურმე.

და იმართებოდა დიდი ასპარეზობა, იყო თოფების ქუხილი, ისრების სტვენა-შხუილი, ბედაურების სრბოლა-ჭიხვინი, გამარჯვებულთა ქება და დაჯილდოება...

ბოლოს — სუფრა, მიცვალებულთა მოსაგონარი და შეჯიბრების გმირთა დალოცვა.

ეს ტრადიცია გადმოცემებს, თქმულებებსა და ლეგენდებს შემორჩა მხოლოდ. და აი, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა მიხეილ მოზაიძემ სპორტისმოყვარული ახალგაზრდებისა და სოფლის თავკაცთა ხელშეწყობით თავისებურად აღადგინა იგი.

თავიდან კი ასე დაიწყო: ზემოალვანელებმა სამამულო ომში დაღუპულთა პატივსაცემად სასოფლო საბჭოს ეზოში ლამაზი სტენდი მოაწყეს და ზედ წააწერეს:

**„ჩვენ ოციოდე გაზაფხული ვიკმარეთ მხოლოდ.**

**დანარჩენი კი სამშობლოსთვის შევვიწირია“.**

ირგვლივ ყვავილები დარგეს და აზარეს.

წლეულს კი ზემოალვანელმა კომკავშირელებმა, ახალგაზრდებმა ითავეს და სტენდის გარშემო ლამაზი პარკიც მოაწყეს.

სამამულო ომის მონაწილეთ წესად შემოიღეს: ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს — 9 მაისს სტენდთან იკრიბებიან, პურ-სუფრას გაშლიან, გმირთა მოსაგონრად ჰიქას თავს წაუქცევენ, მათ ვაჟკაცურ საქმეებს გაიხსენებენ, დალოცავენ სამშობლოს, შთამომავლობას და...

... ზემოალვანელთა სპორტულ ბაზებზე გაჩაღდება შეჯიბრებანი მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, სროლაში, მშვილდოსნობაში, მოტორბოლაში, ქართულ ჭიდაობაში...

ამ სპორტულ ... დარიგის მიმყოლი ... ლები მიხეილ ... მასწავლებლები ... ლი და კატო ლაგაზიძე არიან. ახლა ისინი ფიქრობენ კვლავ დააწესონ ხალხური ორიგინალური პრიზები: ჩითები, წინდები, ხურჯინი, ჩოხა, ბატკანი...

სამამულო ომში დაღუპულ გმირთა სახელის სადიდებლად, რა თქმა უნდა, დღესაც ასე იასპარეზებენ ზემო ალვანში.

**ვ. ჩიკურიშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ახმეტის რაიონი.

# პასუხობს... „ჯარისკაცის მამა“

შარშან, ივლისში, მოსკოვი ერთბაშად აავსეს „ვარსკვლავებმა“. ავტოგრაფებისმოყვარულთა არმია მოთმინებით დარაჯობდა სასტუმრო „მოსკოვთან“ ეკრანის გმირებს, ხოლო სასტუმრო „ლენინგრადსკაია“ ფეხბურთის გულშემატკივართა „სამიზნეზე იჯდა“... 4 ივლისს ლუჟნიკში ბრაზილიელები თამაშობდნენ, 5 ივლისს კი გაიხსნა მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალი. ხელიდან ხელში გადადიოდა საგანგებო ბიულეტენი — „ფესტივალის თანამგზავრი“. და აი, ერთ-ერთ ნომერში მხიარული, გონებამახვილი პელეს სიტყვებიც დაიბეჭდა: „განა შეიძლებოდა კარგად არ გვეთამაშა, როცა ჩვენ გვიყურებდა სერგო ზაქარიაძე?..“

დიახ, მოსკოვში თავმოყრილ „ვარსკვლავთა“ შორის გახლდათ სერგო ზაქარიაძეც — „ჯარისკაცის მამა“. გიორგი მახარაშვილმა ტრიუმფით გაიკვლია გზა მსოფლიოს ეკრანებზე. ამ გმირის შექმნისთვის ს. ზაქარიაძეს სულ ახლახან ლენინური პრემია მიენიჭა. ამ დღეებში შესანიშნავ მსახიობს მრავალ შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველს დააინტერესებს „წმინდა სპორტულ ტალღაზე“ აღებული ინტერვიუ.

● **რა ადგილი უჭირავს სპორტს თქვენს ცხოვრებაში?**

— „წარმოშობით“ ფეხბურთელი გახლავართ. საყავრიაში (ზესტაფონშია ეს ადგილი) ჩვენს ეზოში სტადიონი იყო. ჯერ ქალაქის გუნდში ვთამაშობდი, შემდეგ — თბილისის მე-2 გიმნაზიის კოლექტივში, ერთ დროს კი განჯის ნაკრებშიც გახლდით (ერთი წელი ბიძასთან ვცხოვრობდი იქ). ვთამაშობდი ქუთაისის „დინამოში“ და, თუმცა მცირე ხნით, თბილისის „დინამოს“ მაისურიც მეცვა.

ერთხელ ჩემს წინააღმდეგ შოთა შავგულიძემ ითამაშა. მატჩი რომ დამთავრდა, მითხრა, „დინამოში“ გადმოდი. მე და შენ რომ კართან ერთად ვიქნებით, ახლოს ვერავინ გაგვეკარებაო. ამ ხუმრობანარევმა შექებამ კარგა ხანს ვერ გამაბრიყვა. მაგრამ საქმეში „დინამოს“ ხელმძღვანელობა ჩაერია და მეც დავთანხმდი. მერე იცით, ვინ შეუშალა ხელი ჩემს სპორტულ კარიერას? კარლ მოორმა. სცენის მტვერი უფრო მაგიური აღმოჩნდა ჩემთვის, ვინემ მწვანე მინდორი. ხშირად ვაცდენდი ვარჯიშს, შემდეგ თეატრს გავყევი მწვანე კონცხზე. ბიჭებმა ბურთი და ბუცები გამატანეს, ივარჯიშეო, მაგრამ თბილისში რომ დავბრუნდი, ფეხბურთზე უკვე ხელი მქონდა აღებული.



● **გოლები თუ გაგქონდათ?**

— ხშირად ვურტყამდი თერთმეტმეტრიან საჯარიმოს. ისეც გამქონდა ბურთი, მაგრამ იშვიათად.

● **განსაკუთრებით რომელი ფეხბურთელი გიყვართ?**

— ??

● **მეკარეებზე რას იტყვით?**

— წინათ ყველაზე მეტად აკიმოვი მომწონდა, დღეს — კავაზაშვილი.

● **თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში?**

— ვერ გეტყვით. მკითხაობას ვერ დავიწყებ. ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ვიცნობდეთ მსოფლიოს საუკეთესო გუნდების თამაშს. არ ვიცით რას წარმოადგენენ, რა ძალის პატრონი არიან. უამისოდ კი წინასწარმეტყველებას, აბა, რა აზრი აქვს?!

● **სურვილით რას ისურვებდით?**

— გულით მინდა ჩვენებმა გაიმარჯვონ. საერთოდ, მე ღირსეულს დავუკრავ ტაშს.

● **რას იტყვით ფეხბურთის მომავალზე ჩვენში?**

— ჩემს ახალგაზრდობაში ფეხბურთი ძალიან პოპულარული იყო. სათამაშო ადგილიც ბევრი გვქონდა, შეგვეძლო დილიდან საღამომდე გვევარჯიშა. შეჯიბრებებს ვაწყობდით, თავად ვიყავით საქმის მოთავეები. სამწუხაროდ, ეს ენთუზიაზმი ახლა არ იგრძნობა, თანაც, ყმაწვილებს სათამაშო ადგილიც აღარ აქვთ საკმარისი. არადა, ქართველ კაცს შეუძლია ფეხბურთი ისე ითამაშოს, რომ ამითაც გახდეს თვალსაჩინო მსოფლიოში. რა აკლია? ტემპერამენტი, სწრაფი მოსაზრება, სხეულის მოქნილობა, სისხარტე თუ ეშმაკობა?

● **რა სარგებლობა მოგიტანათ ფეხბურთის თამაშმა?**

— შემოქმედი, სცენის მსახური, უპირველეს ყოვლისა, სპორტსმენი უნდა იყოს. მე ბევრი რამ მომცა ფეხბურთმა. იმას, რომ ჩემი ხნის კაცი ახლა ასე ვარ, ბურთს ვუმადლი.

● **რა ტრადიცია აქვს სპორტს თქვენს ოჯახში?**

— თამამად ვიტყვი: სპორტული ოჯახი გვაქვს. ჩემი ძმებიც ფეხბურთელები იყვნენ. ჩემი შვილი თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელი გახლდათ, ძმისშვილი „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდშია, შვილიშვილებს ამ ზაფხულს აუზში ჩავაყოფინებ თავს — გოგონები არიან და მათთვის ცურვას ვამჯობინებ.

● **ვის მხარესაა თქვენი სიმპათიები პეტროსიან — სპასკის მატჩში?**

— პეტროსიანს ვუჭერ მხარს. დიახ, პეტროსიანი ღირსია იყოს მისი ქომაგი. იგი ხომ ასე კარგად ეთამაშება ისეთ ძლიერ მოჭადრაკეს, როგორიც სპასკია. მატჩამდე ვფიქრობდი, რომ ჩემპიონს პრეტენდენტის დამარცხება გაუჭირდებოდა, მაგრამ პეტროსიანის თამაშმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა...

საუბარი ჩაწერა
**გ. შეყილაძემ.**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ს. ზაქარიაძე.
ფოტო ავტორისა.

# გამარჯვების დღისადმი...

დღეს გმირთა მოედანზე სტარტი მიეცემა ტრადიციულ მძლეოსნურ ესტაფეტას „თბილისის რკალს“, რომელიც 19 ეტაპისგან შედგება. შეჯიბრების მონაწილენი გმირთა მოედნიდან ესტაფეტას წაიღებენ ლენინის ქუჩით, გაატარებენ რუსთაველის პროსპექტზე, ლენინის მოედანზე, შემდეგ ჭორჭიაშვილის ქუჩით — მარქსის მოედანზე და აქედან პლეხანოვის პროსპექტის გავლით კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ გაუხვევენ ჩელუსკინელთა ქუჩაზე და მივლენ ფინიშზე — გმირთა მოედანზე.

ასპარეზობაში გამოვლენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, ბავშვთა სპორტსკოლების, არმიის სპორტკლუბის გუნდები.

მე-3, მე-4 და მე-18 ეტაპებზე ესტაფეტას წაიღებენ ქალები.

ოთხივე ჯგუფში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან ქალაქის სპორტკავშირის გარდამავალი თასებითა და I ხარისხის დიპლომებით, ხოლო II და III პრიზიორები — სიგელებით.

შეჯიბრება იწყება 11 საათზე.




# კარგი ტრადიცია

ქუთაისში ტრადიციად იქცა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება. ამ საინტერესო ასპარეზობის ინიციატორები არიან კომკავშირის საქალაქო კომიტეტი და პიონერთა პარკის დირექცია.

წლევანდელი შეჯიბრება მიმდინარეობდა წრიული სისტემით. გამარჯვება წილად ხვდათ პიონერთა პარკის ნორჩ ფეხბურთელებს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მე-14 და 23-ე სკოლების გუნდები.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. საუკეთესო ტექნიკისათვის პრიზი გადაეცა მე-11 სკოლის გუნდს, კორექტული თამაშისათვის დაჯილდოვდნენ 23-ე სკოლის ფეხბურთელები. ყველაზე შედეგიანი გამოდგა პარკის ნაკრები.

საუკეთესო მეკარედ ცნობილ იქნა რ. გაბუნია, მცველად — ვ. ლებედევი, ნახევარმცველად — ხ. ხურციძე, თავდამსხმელად — ს. ჯიმშელეიშვილი. საუკეთესო კაპიტანია ქ. შავგულიძე, ხოლო მსაჯი — გ. კვერნაძე.

**ი. კოკუაშვილი.**

ქუთაისი.

# ჩემპიონთა ცვლა




ასე შეიძლება ვუწოდოთ 5 მაისს მოსკოვის იპოდრომზე გამართულ საკავშირო მძლეოსნურ კროსს „პრავდის“ პრიზზე. მართლაც, ოთხივე დისტანციაზე გამარჯვებულნი პირველად ავიდნენ ამ ტურნირის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

გოგონები 1000 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მაყურებლებს კიდევაც ებრალებოდათ ტანმორჩილი, გამხდარი, თითქმის ყველაზე პატარა მორბენალი ლ. აქსიონოვა, მაგრამ ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქსიონოვას მიერ ნაჩვენები ფენომენალური დრო (2.51,0) მსოფლიოში მანამდე არავის ჰქონია.

ჭაბუკები ძალებს ცდიდნენ 3000 მეტრზე რბენაში. აქ გამარჯვება მოიპოვა მინსკელმა მ. ჟელობოვსკიმ — 8.25,8.

მეტად საინტერესო იყო ქალთა რბენა 2000 მეტრზე. აქ დიდხანს ლიდერობდა მოსკოველი ა. კრივოშეიკოვა, მაგრამ მერე მას გაასწრო ყაზანელმა ავიაინჟინერმა, 29 წლის ე. კოზლოვამ და გაიმეორა კროსის რეკორდი — 6.09,6 გამარჯვებულმა კოზლოვამ 1,4 წამით მოუგო კრივოშეიკოვას. III ადგილზეა კიეველი თ. დუნაისკაია — 6.11,8. მხოლოდ IV იყო გამოცდილი ვ. მუხანოვა (მოსკოვი) — 6.15,8.

8 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში მთავარი პრიზი — რიგის რადიოქარხნის ნაწარმი „სპიდოლა“, ასე ვთქვათ, შინ დაბრუნდა: მას დაეპატრონა ლატვიელი გ. ხლისტოვი — 23.08,0. ამ სტაიერმა მძლავრი ფინიშის წყალობით დაამარცხა ისეთი ცნობილი მორბენლები, როგორებიც არიან კიეველი ს. ბაიდიუკი (II ადგილი, 23.08,8), მოსკოველი ნ. დუტოვი (VI, 23.17,4) და სხვ.

მეტად სუსტად გამოვიდნენ ასპარეზობაში საქართველოს კროსმენები. 16 გუნდში მათ ბოლო, XVI ადგილი დაიკავეს (57 საჯარიმო ქულა). რსფსრ-მ მხოლოდ 4 საჯარიმო ქულა მიიღო და პირველობაც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელი კროსმენები — 11 ქულა, მესამეზე — მოსკოველები — 13.



ს უ რ ა თ ზ ე: ლენინგრადელი ლ. აქსიონოვა (მარჯვნივ) ფინიშთან.
ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# სილამაზის ზეიმი



პ. ასტახოვა ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშისას.

ჩვენი დედაქალაქის სპორტისმოყვარულები განებივრებული როდი არიან უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ხილვით. ამიტომ იყო, რომ გუშინწინ, თბილისის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ისა და პოლონეთის ტანმოვარჯიშე ქალთა ასპარეზობას საკმაოდ ბევრი მაყურებელი ჰყავდა.

ამ 4 ქვეყნის სპორტსმენებისთვის თბილისის საერთაშორისო ტურნირი გენერალური რეპეტიციაა მსოფლიო ჩემპიონატისა, რომელიც დორტმუნდში გაიმართება (შეჯიბრების მონაწილენი მსოფლიო პირველობის პროგრამით გამოდიან).

ასპარეზობისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ თბილისის გაზეთებმა საგანგებო პრიზები დააწესეს: „ახალგაზრდა კომუნისტის" ჯილდო გადაეცემა ტანმოვარჯიშეს, რომელიც ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწევს ცალკეულ იარაღზე, „მოლოდინ გრუზიისა" — ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს, „თბილისისა" — სავალდებულო პროგრამის საუკეთესო შემსრულებელს, „ვეჩერნი ტბილისისა" — ნებისმიერ ვარჯიშებში გამარჯვებულს, „ლელოსი" — ყველაზე რთული და ორიგინალური ელემენტის შემსრულებელს. ერთი პრიზი უკვე მიიღო სპორტსმენმა, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა დააგროვა სავალდებულო ვარჯიშებში: ეს იყო ლენინგრადელი მოსწავლე ნ. კუჩინსკაია.

... საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ოთხივე გუნდის სპორტსმენებმა ტანვარჯიშულ იარაღებზე მიიტანეს იერიში. საბჭოთა გუნდის წევრებმა — პ. ასტახოვამ, ლ. ლატინინამ, ა. ჯანუყაშვილმა, ნ. კუჩინსკაიამ, ლ. პეტრიკმა, გ. ბურუჩევამ დვირზე ვარჯიშით „გახსნეს სეზონი". ტურნირს ტონი იმთავითვე ნ. კუჩინსკაიამ მისცა — ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა — 9,7. 9,45 ქულა მიიღო სამმა სპორტსმენმა — პეტრიკმა, ბურუჩევამ და ჯანუყაშვილმა. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშეები მთელი თავით მაღლა დგანან ასპარეზობის დანარჩენ მონაწილეებზე: გდრ-ის გუნდმა, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება, დვირზე 46,25 ქულა დააგროვა, მაშინ, როცა საბჭოთა გუნდმა აქ 47,45 ქულა მოიპოვა.

ნ. კუჩინსკაია თავისუფალ ვარჯიშშიც კარგად გამოვიდა. მან ნარნარად და დახვეწილად ივარჯიშა და 9,45 ქულა მოიპოვა. მაგრამ უკეთესი შედეგი ამ სახეობის დიდოსტატს, ვეტერან პ. ასტახოვას ჰქონდა — 9,55.

ტანვარჯიშის ერთ-ერთი რთული სახეობაა ბჯენითი ხტომები, რაც სპორტსმენისგან უზუსტეს მოძრაობას მოითხოვს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ უნგრეთის ძლიერი გუნდიდან მხოლოდ ქ. მაკრაიმ და ა. დუცამ დაიმსახურეს 9,1-9,1 ქულა, ხოლო პოლონელებიდან მხოლოდ ორმა მიიღო 9 ქულა. სულ სხვა იყო საბჭოთა გუნდის გამოსვლა. უზადო ოსტატობა აჩვენა ჯანუყაშვილმა. ქართველი სპორტსმენის ნახტომები მსაჯებმა 9,65 ქულით შეაფასეს მაშინ, როცა მისმა უახლოესმა მეტოქემ ლ. ლატინინამ მხოლოდ 9,4 ქულის მიღება შეძლო. სტუმრებიდან ამ ვარჯიშში მაღალი შეფასება მხოლოდ გერმანელ უ. შტარკეს მიეცა — 9,45.

ნაირსიმაღლის ორძელზე საბჭოთა გუნდის უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო.

სავალდებულო ვარჯიშების შესრულებაში ყველას აჯობა კუჩინსკაიამ — 38,0. II ადგილი დაიკავა ჯანუყაშვილმა — 37,85. მომდევნო ადგილებზე არიან ლატინინა და პეტრიკი — 37,6 ქულა თვითეულს.

**ო. ქორქია**
სპორტის ოსტატი.

## გუშინ...

**სპორტის** სასახლეში დამთავრდა ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. აბსოლუტური პირველობა **76,65** ქულით დაისაკუთრა ნ. კუჩინსკაიამ. **II** ადგილზეა ლ. პეტრიკი — **75,7**, **III** — პ. ასტახოვა — **75,15**. გუნდური შეჯიბრება მოიგო სსრ კავშირის კოლექტივმა — **376,8**. შემდეგ არიან: გდრ — **369,15**, უნგრეთი — **366,75**, პოლონეთი — **352,15**.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ქულებს ემატება ქულები

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 2:0 (0:0).

„ტ ო რ პ ე დ ო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ემრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი (წივწივაძე), კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ნოდია.

„კ ა ი რ ა ტ ი": კოსენკოვი, მუხინი, სტეპანოვი, ნეჩიპტიკი, კამინსკი, ფალინი, კვოჩკინი, ჩენცოვი, ვოლოხი, როჟკოვი (მარკინი), მალცევი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

გათამაშების მონაწილე ყველა კოლექტივს აქვს საკუთარი, „კერძო" ინტერესები, რომელთა მიხედვითაც იგი აწარმოებს თავისი შედეგების აღრიცხვას. ერთნი იბრძვიან ჩემპიონობისა და საპრიზო ადგილების მოპოვებისთვის, მეორენი იქმნიან ე. წ. „საშუალო" გუნდების რეპუტაციას, ხოლო მესამენი ცდილობენ შეინარჩუნონ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ქუთაისის მატჩის გუშინდელი მონაწილენი — „ტორპედოც" და „კაირატიც" ჯერჯერობით ამ მესამე ჯგუფის წარმომადგენლები არიან. „ა" კლასის I ჯგუფში დარჩენა მათ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს და, ამდენად, ისინი ერთმანეთის კონკრეტული მეტოქეები არიან. ქულების აღებას ასეთ შეხვედრებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. მატჩს განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებდა ისიც, რომ „კაირატი" VI ტურისთვის ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა და ქუთაისელებსაც საკმაოდ გამოსწორებული ჰქონდათ სატურნირო მდგომარეობა.

ტორპედოელებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი მაღალი პოტენციალი, ბრძოლისუნარიანობა და შესაძლებლობანი. მართალია, პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია, მაგრამ მათ შეძლოთ ჯერ კიდევ შესვენებამდე მიეღწიათ წარმატებისთვის.

ანგარიში გაიხსნა 68-ე წუთზე, როცა ხაჟალიამ კარგად გაითამაშა საჯარიმო დარტყმა ჩხარტიშვილთან და ამ უკანასკნელმა ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0. მატჩის დასასრულს ნოდიამ შორი მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა და სტუმრები მეორედ გახდნენ იძულებული ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 2:0.

ამრიგად, ქუთაისის „ტორპედომ" დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი", დონეცკის „შახტიორი" და ალმა-ათის „კაირატი", ე. ი. თავისი ძირითადი კონკურენტები I ჯგუფში დარჩენისათვის ბრძოლაში.

„ა" კლასი I ჯგუფი

# მარცხი ერევანში

ერევანი. ცენტრალური სტადიონი. 8 მაისი.

„არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0).

„ა რ ა რ ა ტ ი": აბრამიანი, სეროფიანი, ავეტისიანი, სიმონი, იუმაკულოვი, კოვალენკო, ვიუნი, გალსტიანი, ეგიაზარიანი, ოვივიანი, ზიროიანი (აბრამიანი).

„დ ი ნ ა მ ო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, იამანიძე, ხუციშვილი, მაისურაძე (ასათიანი), ბარქაია, დათუნაშვილი.

მსაჯი ვ. ხოდინი (მინსკი).

დუბლიორები — 2:0 „არარატის" სასარგებლოდ.

ბრალი იმაში, რომ თბილისის „დინამომ" კიდევ 2 ქულა დაკარგა წლევანდელ ჩემპიონატში, მეტწილად გუნდის თავდასხმას მიუძღვის, რომელმაც მთელი მატჩის განმავლობაში ვერ შეძლო ეთამაშა ნამდვილი შეტევით, ხელთ აეღო ინიციატივა, შეექმნა რეალური საშიშროება „არარატის" კარისთვის. ორი-სამი მომენტი უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში თბილისელები მინდვრის შუაგულში იბრძოდნენ, საიდანაც ვერაფრით ვერ გამოიძებნა გზა მეტოქის დაცვის გასარღვევად. ჩვენი გუნდის წინა ხაზზე არ ჩანდა მოთამაშე, იერიშის ლიდერი, რომელიც საჭიროებისამებრ განაგებდა პარტნიორების მოქმედებას.

ერევნელებს კი ასეთი თავდამსხმელი ჰყავდათ. ეს იყო ოვივიანი. მისი კვალიფიციური თამაშის შედეგად დინამოელთა კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა (შეადარეთ ურუშაძისა და აბრამიანის დატვირთვა ამ მატჩში), რომელთაგანაც ერთ-ერთი გოლით დამთავრდა. სწორედ მის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია ურუშაძემ 71-ე წუთზე, მერე მეკარეს მოუხდა შეტაკება ეგიაზარიანთან და თავდამსხმელმა მაინც შეძლო ხელმეორედ უკუგდებული ბურთის ბადეში გატანა. თბილისელთა არც ერთი მცველი არ აღმოჩნდა ამ მომენტში სიახლოვეს, რომ დახმარება გაეწია მეკარისთვის.

არც დარჩენილ დროში გაჭირვებიათ ერევნელებს ბრძოლა „დინამოს" ფორვარდებთან, მით უმეტეს, რომ ხუციშვილი, ასათიანი, დათუნაშვილი და სხვებიც, როგორც წესი, კარგავდნენ ბურთს და შეტევას ქაოტურ გარღვევებზე აგებდნენ.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „შახტიორი" 1:2
სკა (ოდესა) — „ნეფტიანიკი" 1:1
სკა (როსტოვი) — „ჩერნომორეცი" 2:0
„ზენიტი" — „დინამო" (მოსკოვი) 0:3
„დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კიევი) 0:4
„კრ. სოვეტოვი" — „პახტაკორი" 1:2

## VI ტური

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისათვის

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 6 | 5 | 1 | 0 | 19—1 | 11 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 5 | 4 | 1 | 0 | 6—1 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 6 | 3 | 2 | 1 | 11—6 | 8 |
| „არარატი" (ერევანი) | 6 | 3 | 2 | 1 | 8—3 | 8 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 6 | 2 | 4 | 0 | 5—2 | 8 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 6 | 2 | 4 | 0 | 5—3 | 8 |
| სკა (როსტოვი) | 5 | 3 | 1 | 1 | 7—6 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 2 | 2 | 2 | 6—4 | 6 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 6 | 3 | 0 | 3 | 10—9 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 6 | 3 | 0 | 3 | 5—4 | 6 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 6 | 2 | 2 | 2 | 5—6 | 6 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 6 | 2 | 1 | 3 | 3—9 | 5 |
| ცსკა | 5 | 0 | 4 | 1 | 3—5 | 4 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 6 | 2 | 0 | 4 | 4—9 | 4 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 5 | 1 | 1 | 3 | 3—7 | 3 |
| „დინამო" (მინსკი) | 6 | 1 | 1 | 4 | 5—12 | 3 |
| სკა (ოდესა) | 5 | 0 | 2 | 3 | 1—7 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 5 | 0 | 2 | 3 | 2—9 | 2 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 4 | 0 | 0 | 4 | 1—6 | 0 |

„ბ" კლასი IV ზონა

ტ ყ ი ბ უ ლ ი, 8 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიხსნა საფეხბურთო სეზონი, რომლის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-ს „ბ" კლასის IV ზონის წარმომადგენლები — ადგილობრივი „მეშახტე" და ერევნის „არაქსი".

მასპინძლებმა დიდი უპირატესობით დაიწყეს თამაში, მაგრამ რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ სტუმრებმა მდგომარეობა გამოასწორეს. ტაიმი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

„მეშახტემ" თავისი ნამდვილი ძალა გამოავლინა მხოლოდ შესვენების შემდეგ. ანგარიში 55-ე წუთზე გახსნა აველიანმა. ხოლო მცირე ხნის შემდეგ თოლორაიას ფლანგური მოწოდება ზუსტად გამოიყენა ლეჟავამ — 2:0.

მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა ტყიბულელ ფეხბურთელებს ჰქონდათ, ვალში არც ერევნელები დარჩენილან. მათი რამდენიმე სახიფათო კონტრიერიშისას ძნელი ბურთების აღება მოუხდა მეკარე ძიძიგურს.

72-ე წუთზე ლეჟავამ კარგად გამოიყენა მეტოქის კართან შექმნილი არეულობა და მესამე ბურთი გაგზავნა „არაქსის" კარში, ხოლო 85-ე წუთზე აპრესიანმა მოულოდნელი დარტყმით შორი მანძილიდან საბოლოოდ განამტკიცა „მეშახტის" გამარჯვება — 4:0.

**ზ. ჯორჯაძე.**

• • •

გ ო რ ი, 8 მაისი (ტელეფონით). „ბ" კლასის დებიუტანტმა — ადგილობრივმა „დილამ" ოქტემბერიანში „სევანთან" ფრედ (0:0) დამთავრებული მატჩის შემდეგ, გუშინ საკუთარ მინდორზე მიიღო კაფანის „ლერნაგორცი".

90-წუთიან ბრძოლას გოლი არ მოჰყოლია — 0:0.

# ყაიმი მუდმივი ქიშით

**მოსკოვი**, 7 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან — სპასკის მატჩის „პირველი ტაიმის" დამამთავრებელი, XII პარტია.

სპასკიმ თავი აარიდა ცნობილ სადებიუტო სისტემებს და უპრეტენზიოდ განავითარა ყველა ფიგურა. პეტროსიანმაც ხელსაყრელ უჯრებზე განალაგა თავისი ფიგურები და მოემზადა მეტოქის აქტიური მანევრების შესახვედრად. მალე სპასკიმ მეფის ფრთაზე გააჩაღა ბრძოლა და პეტროსიანიც აჰყვა მას.

კრიტიკულ მომენტში სპასკიმ ფიგურა შესწირა და მრავალი მუქარა შეუქმნა მსოფლიო ჩემპიონის პოზიციას. მაგრამ პეტროსიანმა კონტრკომბინაციით უპასუხა (ხარისხი შესწირა), რომლის ფინალში იგი ყაიმის მიღწევის გზას ხედავდა. (კაპიტნოტი რომ არა, 32-ე სვლაზე იგი ალბათ ლაზიერით აიყვანდა პაიკს და მოგების შანსებსაც მიიღებდა, მაგრამ ცდუნებას არ აჰყვა და შეხვედრა მუდმივი ქიშით ყაიმით დაამთავრა.

აი, ეს პარტიაც.

**პეტროსიანი — სპასკი**

**1. მf3 g6 2. c4 კg7 3. d4 d6 4. მc3 მd7 5. e4 e6 6. კe2 b6 7. 0—0 კb7 8. კe3 მe7 9. ლc2 h6 10. ეad1 0—0 11. d5 e5 12. ლc1 მფh7 13. g3 f5 14. ef მ:f5 15. კd3 კc8 16. მფg2 მf6 17. მe4 მh5 18. კd2 კd7 19. მფh1 მe7 20. მh4 კh3 21. ეe1 კd7 22. კe3 ლe8 23. ეde1 ლf7 24. ლc2 კh8 25. ლd2 მf6 26. მ:f5 gf 27. g4 e4 28. gh f4 29. ე:g7 ლ:g7 30. ეg1 ლe5 31. მf3 ed 32. მ:e5 dc 33. კd4 de 34. კ:e5+ მფh7 35. ეg7+ მფh8 36. ეf7+ მფg8 37. ეg7+ მფh8 38. ეg6+ მფh7 39. ეg7+** ყაიმი.

ამრიგად, XII პარტიის შემდეგ კვლავ წინაა ტ. პეტროსიანი — 7:5. 9 მაისს შედგება XIII პარტია.

# რ. ჯინჯიხაშვილი — ჩემპიონი

3,5:2,5. ასე დამთავრდა საჭადრაკო მატჩი საქართველოს ჩემპიონის წოდებაზე. ამ ანგარიშით მოუგო რ. ჯინჯიხაშვილმა ა. ბუსლაევს.

ახალმა ჩემპიონმა გამოავლინა არა მარტო ჭადრაკის თეორიის კარგი ცოდნა, არამედ დიდი ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა. ყველა შეხვედრაში ორივე მეტოქე უკომპრომისო ბრძოლას იწყებდა, ამიტომაც პაექრობა ბოლო მომენტამდე უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა.

მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჯინჯიხაშვილის სახით ჩვენს საჭადრაკო ორგანიზაციას კარგი მომავლის მქონე ოსტატი ჰყავს. წლეულს მას, ისე როგორც ბუსლაევს, მოუწევს სსრ კავშირის XXXIV ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობა და ორივესგან წარმატებას უნდა ველოდოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯინჯიხაშვილი აგრძელებს იმ სახელოვან საჭადრაკო ტრადიციებს, რომლებიც თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს ახასიათებს: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მეცადინეობით აქ გამომჟღავნდა და გამოიწრთო კიდევ ერთი ახალგაზრდა მოჭადრაკის ნიჭი და უნარი.

**თ. ნინოშვილი.**



სურათზე: რ. ჯინჯიხაშვილი.

# 20 ქვეყნის 172 ათლეტი...

# ბოლო ორ წუთში

# უიღბლო კორტები

## ახალი ამბები

● ლ უ ქ ს ე მ ბ უ რ გ ი, 7 მაისი. საბჭოთა ძიუდოისტები ევროპის პირველობის ნახევარფინალში გავიდნენ. ასპარეზობაში მონაწილეობენ 14 ქვეყნის ნაკრები გუნდები. საბჭოთა ათლეტებმა ერთნაირი ანგარიშით (4:0) მოუგეს გფრ-ისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს. ნახევარფინალში მათი მეტოქე იქნება ჰოლანდიის ნაკრები, რომელმაც თავის მხრივ მოუგო ბელგიასა და ლუქსემბურგს. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან გდრ-ისა და საფრანგეთის მოჭიდავეები. გერმანელებმა ადვილად მოუგეს ფინელებს და დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს ინგლისელებს — 3:2. პირად პირველობაში 20 ქვეყნის 172 სპორტსმენი იბრძოლებს. ასეთი დიდი რაოდენობა ჯერ არ ახსოვს ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატებს.

● ბუენოს-აირესი, 7 მაისი. „რივერ-პლეიტის“ დარბაზში სსრ კავშირის ნაკრების კალათბურთელებმა ბოლო მატჩი გამართეს ქვეყნის ნაკრებ გუნდთან და გაიმარჯვეს — 77:75. თამაშის პირველ ნახევარში, რომელიც ფრედ (39:39) დამთავრდა, სსრ კავშირის ღირსებას იცავდა ნაკრების მეორე შემადგენლობა. თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე არგენტინელები 4 ქულით იყვნენ წინ (74:70), მაგრამ ტომპსონის, ლიპსისა და კულკოვის ტყორცნებმა საბჭოთა გუნდს 2 ქულით გამარჯვება მოუტანა. ჩვენი გუნდი ურუგვაის გაფრინდა, სადაც ორ მატჩს გამართავს ამ ქვეყნის გუნდებთან.

● რომი, 7 მაისი. „ფორო იტალიკოს“ კორტები, სადაც მიმდინარეობს იტალიის ღია ჩემპიონატი, ჩვენი ჩოგბურთელებისთვის უიღბლო გამოდგა. ერთეულთა თანრიგში ისინი უკვე მეორე წრიდან გამოეთიშნენ ბრძოლას: ა. ივანოვმა წააგო უნგრელ ი. გულიაშთან — 3:6, 2:6, 6:8, ა. მეტრეველმა — ავსტრალიელ ტ. როჩთან — 0:6, 1:6, 5:7, ხოლო თ. ლეიუსმა — ამერიკელ მ. რიესენთან — 2:6, 0:6, 6:3, 5:7. გუშინ საღამოს შეჯიბრებაში ჩაებნენ საბჭოთა წყვილები. თ. ლეიუსმა და ს. ლიხაჩოვმა მოუგეს კანადელების მ. ბელკინისა და რ. ბადიკომბის დუეტს — 4:6, 6:2, 6:2, 6:4, ხოლო ა. მეტრეველ — ა. ივანოვის წყვილი დამარცხდა ძლიერ ინტერნაციონალურ დუეტთან — იუგოსლაველ ნ. პილიჩთან და ამერიკელ ჯ. მაკ-მანუსთან — 1:6, 0:6, 1:6.

## ოთხივე სახეობაში — მოსკოველები

მოსკოვში ორ დღეს გრძელდებოდა გდრ-ის, რსფსრ-სა და ადგილობრივ სპორტსმენთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება წყალში ხტომაში. მონაწილეთა შორის იყვნენ ოლიმპიელები, ევროპის ამას წინათ დამთავრებული თასის გათამაშების პრიზიორები, მათ შორის, დ. რაინჰარდტი, გ. პოფალი, გ. ფოლკერი, მ. დელიტჩი (ყველანი — გდრ), ე. ანოხინა, ვ. ბაკლანოვა, თ. ფედოსოვა, გ. გალკინი, მ. საფონოვი, ვ. ვასინი (ყველანი — მოსკოვი), ე. რასპოპოვა, ე. ზოლოტარიოვა, დ. ტრუსოვი (ყველანი — რსფსრ) და სხვ.

ტრამპლინიდან ქალთა ხტომა მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონმა ე. ანოხინამ, ხოლო კოშკიდან ხტომაში პირველი იყო მისი თანაგუნდელი, სსრ კავშირის ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გ. ალექსეევა.

ვაჟთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა ევროპის თასის მფლობელმა მ. საფონოვმა, ხოლო კოშკიდან ხტომაში — სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა გ. გალკინმა.

ამრიგად, მოსკოველთა უპირატესობა ოთხივე სახეობაში აშკარა იყო და საერთო გუნდური I ადგილიც მათ დარჩათ. II ადგილზე არიან გდრ-ის სპორტსმენები.

## ისევ დისკრიმინაცია

ბ ო ნ ი, 6 მაისი. დასავლეთ გერმანიის ქალაქ კარლსრუეში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში, რომელიც წლეულს უკვე მეათედ ტარდება, მონაწილეობს სსრ კავშირის, თურქეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, გფრ-ისა და სხვა, სულ 19 ქვეყნის 116 მოჭიდავე.

ტურნირის გახსნისას გდრ-ის სპორტსმენებს უფლება არ მისცეს თავიანთი

### გდრ-ის დელეგაცია ტოვებს ევროპის ჩემპიონატს

ქვეყნის დროშით გამოსულიყვნენ. გდრ-ის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარემ, დოქტორმა კოგელმა პროტესტი გამოთქვა დისკრიმინაციის გამო, რასაც დასავლეთ გერმანიის ინიციატივით, აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენთა მიმართ ატარებენ. გდრ-ის გუნდმა უარი განაცხადა ტურნირში მონაწილეობაზე და დატოვა გფრ.

ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა პროტესტით მიმართეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარეს რ. კულონს და მტკიცედ მოითხოვეს გდრ-ის სპორტსმენებს დაუბრუნდეთ კანონიერი უფლებები.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამასწინანდელ კონგრესზე (რომში) დასავლეთ გერმანიამ, რომელსაც სურვილი აქვს 1972 წლის ოლიმპიადა მიუნხენში ჩატარდეს, ივალდებულა მხარი დაუჭიროს ოლიმპიურ იდეებს, მაგრამ როგორც ადნ-ის სააგენტოს კორესპონდენტი სამართლიანად შენიშნავს, ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო. სინამდვილეში, დასავლეთგერმანული წრეები ახლაც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გდრ-ის სპორტსმენთა მიმართ დისკრიმინაცია განახორციელონ.




## ნაკრები გუნდები ემზადებიან

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. უახლოესი რამდენიმე დღის განმავლობაში შედგა საინტერესო საერთაშორისო მატჩები, რომლებიც თავისებურ რეპეტიციას წარმოადგენენ ინგლისის დიდი ბატალიების წინ.

საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდი ინტერესს იწვევდა მატჩი ლ ო ნ დ ო ნ ი ს „უემბლიზე“ ინგლისისა და იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ კვლავ საგრძნობი ცვლილებები მოახდინა თავის გუნდში და შეცვალა მთელი რიგი ფეხბურთელები. მასპინძლები დასაწყისიდანვე ძლიერად უტევდნენ და მე-9 წუთზე გრივსმა პეინის გადაცემიდან თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. შესანიშნავად თამაშობდა რ. ჩარლტონი, რომელმაც 34-ე წუთზე თითქმის ცენტრიდან წაიღო ბურთი, მოატყუა 2 მეტოქე და როცა ამას არავინ ელოდა, ძლიერად დაარტყა კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ იუგოსლაველები საგრძნობლად გააქტიურდნენ. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარცხენა გარემარბი სკობლარი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, ანგარიში არ შეცვლილა და ინგლისელებმა გამარჯვება მოიპოვეს — 2:0.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ახალბედებმა ვერ გაამართლეს იმედები და მოსალოდნელია, რომ ა. რამსეი კვლავ ძველ შემადგენლობას დაუბრუნდეს.

გ ე რ მ ა ნ ი ი ს ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები აქტიურ მზადებას შეუდგა ფინალისთვის. გერმანელები დუბლინში შეხვდნენ ირლანდიის ეროვნულ გუნდს. სტუმრებს მთელი მატჩის განმავლობაში ჰქონდათ უპირატესობა და უკვე მე-20 წუთზე წინ იყვნენ — 2:0. სურათი არ შეცვლილა შემდგომშიც და ირლანდიელები დამარცხდნენ — 0:4.

ამის შემდეგ გფრ-ის ნაკრები გაემგზავრა ბელფასტს, სადაც შაბათს შეხვდა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს. გამარჯვება აქაც გერმანელებს დარჩათ — 2:0.

ხ ო ჟ უ ვ შ ი გაიმართა პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების საკონტროლო მატჩი. პოლონელებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ფინალისტს და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1. ანგარიში გახსნა უნგრელთა ცენტრალურმა ფორვარდმა ბენემ, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა ლიუბანსკიმ.

უნგრელებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: სენტმიხაი, კაპოსტა, მესეი, დუნაი, შოვარი, მატესი, ნადი, ბენე, გერეჩი, ფარკაში, ფენვეში.

მ ე ხ ი კ ო შ ი მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, სადაც მექსიკის ნაკრებმა დაამარცხა „მონაკო“ — 1:0. ამავე ტურნირში ჩილის ნაკრებმა წააგო „ნეკახასთან“.

გათამაშების ორგანიზატორებმა შეცვალეს შეჯიბრების ფორმულა იმ მიზნით, რომ ერთმანეთს შეახვედრონ მექსიკისა და ჩილის ნაკრები გუნდები.

* * *

რიო-დე-ჟანეირო, 7 მაისი. 8 ათასი კაცი რიო-დე-ჟანეიროს შტატის გუბერნატორის მეთაურობით დიდი ზეიმით შეხვდა რიოდან 90 კილომეტრით დაცილებულ სამთო აგარაკ ტერესოპოლისში ჩასულ ფეხბურთელებს — ბრაზილიის ნაკრების კანდიდატებს. ლონდონის ბატალიებისთვის სამზადისის პროგრამით გათვალისწინებულ პირველ შეხვედრამდე (14 მაისს, უელსის ნაკრებთან) აქ წვრთნას გაივლის 45 ფეხბურთელი. ერთკვირიანი შვებულება მიიღო სახელგანთქმულმა პელემ: იგი ამას წინათ დაშავდა და ახლა იმკურნალებს. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ მასზე არანაკლებ სახელმოხვეჭილი სპორტსმენები ამარილდო და ჟაირ და კოსტა სულ მალე შეუერთდებიან ბრაზილიის ნაკრებს. ამარილდოსა და ჟაირიც ნაკრებს დროებით ათხოვეს მათმა პატრონებმა — იტალიურმა კლუბებმა „მილანმა“ და „ინტერნაციონალემ“.



ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალზელანდიელები ლინდა ბალტერი და უეინ ბარეტი ბეიკერსფილდში (კალიფორნია) ასპარეზობენ გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალში. წყვილთა შეჯიბრებაში მათ V ადგილი დაიკავეს. ორდღიან ტურნირში სულ მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ახალი ზელანდიის, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 700-ზე მეტმა მოციგურემ.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ლელოს“ საკუთარი ინფორმაცია

### პირველია „სპორტინგი“

ლისაბონის გუნდების — „ბენფიკისა“ და „სპორტინგის“ ბრძოლა ამ უკანასკნელის წარმატებით დამთავრდა. ბოლო ტურში „სპორტინგმა“ მოუგო „ვარზიმს“ — 2:1. და თუმცა „ბენფიკამაც“ გაიმარჯვა — დაამარცხა „ბელენენსესი“ (3:1), იგი „სპორტინგს“ 1 ქულით ჩამორჩა.

ამრიგად, პორტუგალიის ჩემპიონი გახდა „სპორტინგი“. ესაა პირველხარისხოვანი გუნდი, სადაც განსაკუთრებით ძლიერია თავდასხმა. აქ თამაშობენ 22 წლის ლოურენსო, 22 წლის მენდესი, ფიგეირედო, პერესი, დუარტე. ნახევარმცველები კარლოსი და გომესი მრავალჯერ გამოსულან ამ ქვეყნის ნაკრებში. მცველებმა მორაესმა, ჰილარიომ, ბატისტამ საუკეთესოდ ჩაატარეს ჩემპიონატი და ახლა ნაკრების კანდიდატები არიან. 26 წლის მეკარე კარვალიომ, რომელმაც სეზონის მანძილზე მხოლოდ 21 გოლი გაუშვა, ნაკრებში შეცვალა სახელმოხვეჭილი პერეირა.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებია: ეუსებიო („ბენფიკა“) და ფიგეირედო („სპორტინგი“) — 25-25 გოლი.

აი, ჩემპიონატის პირველი ექვსეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი“ | 26 | 70:21 | 42 |
| „ბენფიკა“ | 26 | 78:30 | 41 |
| „ფკ პორტო“ | 26 | 40:25 | 33 |
| „გიმარესი“ | 26 | 55:45 | 33 |
| „ვიტორია“ (სეტუბ.) | 26 | 51:38 | 29 |
| „აკადემიკა“ (კოიმბრა) | 26 | 58:18 | 26 |

### დარჩა 3 ტური

იტალიის ჩემპიონატის განვლილ ტურში „ბოლონიამ“ დაამარცხა ლიდერი — „ინტერნაციონალე“ — 2:1.

რომში ადგილობრივმა „რომამ“ წააგო „ფიორენტინასთან“ — 0:2.

ვიჩენცეს „ლანეროსიმ“, რომელიც მალე სსრ კავშირში ჩამოვა, ფრედ დაამთავრა შეხვედრა „კალიარისთან“ — 1:1. მასპინძელთა გოლის ავტორია ბრაზილიელი ვინიჩიო. იგი 19 გატანილი გოლით სნაიპერთა სიას გაუძღვა. 18 გოლი აქვს გატანილი მაცოლას („ინტერი“), ხოლო ბრაზილიელ სორმანის („მილანი“) — 17.

აი, ჩემპიონატის პირველი ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 31 | 62:23 | 46 |
| „ბოლონია“ | 31 | 58:34 | 43 |
| „ნაპოლი“ | 31 | 39:25 | 41 |
| „იუვენტუსი“ | 31 | 35:19 | 39 |
| „ფიორენტინა“ | 31 | 37:21 | 37 |

## თასი „ბორუსიას“

გასულ ხუთშაბათს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის“ სტადიონზე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის „ლივერპული“ და დორტმუნდის „ბორუსია“ (გფრ).

„ლ ი ვ ე რ პ უ ლ ი“: ლოურენსი, ლოულერი, ბერნი, სტივენსონი, იეტსი, მილნი, კალაჰანი, ჰანტი, სენტ-ჯონი, სმიტი, ტომპსონი.

„ბ ო რ უ ს ი ა“: ტილკოვსკი, სილიაქსი, რედერი, კურატი, პაული, გროშე, ლიბუდა, შმიდტი, ჰელდი, შტურმი, ემერიჰი.

პირველი ტაიმი ორივე გუნდის დაცვითი ხაზების საუკეთესო თამაშით აღინიშნა და თავდამსხმელებმა მათთან ვერაფერი გააწყეს — 0:0. შემდეგ ინგლისელები კარგა ხანს სახიფათოდ უტევდნენ. მაგრამ აი, 62-ე წუთზე გერმანელებმა ჰელდმა და ემერიჰმა „კედელი“ გაითამაშეს და ჰელდმა აიღო „ლივერპულის“ კარი — 1:0.

7 წუთის შემდეგ ჰანტმა 3 მცველი მოატყუა და ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

დაინიშნა დამატებითი 30 წუთი. „ლივერპულის“ უპირატესობა კვლავ საგრძნობი იყო, მაგრამ ტილკოვსკიმ ინგლისელებს ანგარიშის გაზრდის საშუალება არ მისცა. 107-ე წუთზე დორტმუნდელთა სახიფათო კონტრიერიშისას ლოურენსმა ბურთი მოიგერია, მაგრამ „ბორუსიის“ გარემარბმა ლიბუდამ შეძლო გოლის გატანა — 2:1.

საპატიო პრიზი დორტმუნდის „ბორუსიამ“ მოიპოვა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

10 მაისს

თბილისის „დინამოს“ სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში გაიმართება

საქართველოს „დინამოს“ V რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, 11 საათიდან.

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

11 მაისს

თბილისის მასწავლებლის სახლის სხდომათა დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 8) გაიმართება

საქართველოს „კოლმეურნის“ IV რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, 10 საათიდან.

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 05932